ფასი 10 მ.

ეშმაკის ჯაჭვები

№ 33

1920 წ.
ივლისის 11

ორი სალასი (ყასაბი). Два мясника.

პირველი. მი ეტო ტაკ დელიმ: ნაპრიმერუმ ბარან ნადა რეზილ... მი სპერვა ემუ რეზილ ბუ-
დიმ, ა პატომ შკურა სნიმალ ბუდიმ... გოლი ბარან ნა ტაქკა პალაჟილ, დლია შტოპი მიასნოი
ლავკა ატპრავლაით, ა შკურა სებე სახრანილ ბუდიმ... მი ტაკ დელიმ... ა ტი, ტავარიშჩ, კაკ, ჰა?

მეორე. Я не понимаю... какъ это?.. безъ чревычайки, что-ли, работаете?

პირველი. კაკოი ჩრეზვიჩაიკ, ნიკაკოი ჩრეზვიჩაიკ მი ნე ზნაიმ...

მეორე. Ну, братъ, у васъ, я вижу, неправильно того... Безъ чрезвычайки никакъ невозможно,

(იხილე მეორე გვერდი)

потому—незаконно выходить. У насъ вотъ какъ: скажемъ чрезвычайка приговорила... ну, я иду за нимъ, то есть, за приговореннымъ, сзади, вотъ съ этимъ реворольвертомъ... прикладываю къ затылку, бацъ, и готово, ха-ха-ха! а дальше все такъ же, какъ и у васъ: снимаю шкур... то-бишь одежу и обувь... убитый трупъ на тачку, а одежу—себѣ, ха-ха-ха! Только безъ чрезвычайки никакъ не можно, потому,—это законъ такой... у насъ безъ закона ничего не бываетъ...

„ბათუმის გარშემო.“

„ბათუმი და მისი ოლქი საქართველოს ჩვენ მივეცით“ (კომუნისტი)

ამას ტრაბახით არ მოგახსენებთ, მაგრამ ყველაზე უფრო ძნელი ხელობა—ისტორიკოსობაა.

ოჰ, რა ძნელია, რომ იცოდეთ ისტორიის წერა!!!

საზოგადოთ ისტორია პირუთვნელი უნდა იყოს, ამისათვის კი საჭიროა ისტორიკოსს იმდენი თვალი მაინც ჰქონდეს, რამდენიც ფუტკარს და ამდენივე ყურიც თვალთან ერთად.

თუ ისტორიაში რაიმე ვერ განსჭვრიტე და აგრეთვე თუ რაიმე ვერ განსმინე, შენი მტერია! მშვიდობით მაშინ პირუთვნელობავ.

აი ახლაც, მთელი ქართული პრესა „ერთობიდან“ დაწყებული ვიდრე „სახალხომდე“ და იქითაც დაჟინებით გაიძახიან:

— ბათუმი და მისი, ოლქი ქართველმა დემოკრატიამ ბრძოლით, დისციპლინით, თავგამოდებით და გონივრული პოლიტიკის წარმოებით მოიპოვაო.

მე კი ვამბობ:

— ბათუმი ქართული კომუნისტების ნაბოძებია.

ამ ჩემს აზრს წარმოიდგინეთ თვით კომუნისტებიც კი არ უარყოფენ.

ამ გარემოებას ისინი „ხაზსაც უსვებენ“.

უკუ ვაგდოთ, მოქალაქენო, თავმოყვარეობა და საქმეს ისტორიკოსის თვალთა ხედვის ისრით შევხედოთ.

1917 წელს დღევანდელი კომუნისტები სოციალ-დემოკრატები იყვნენ და სხვა სოციალ-დემოკრატებისგან გასარჩევათ თავის თავს „ბალშევიკებს“ ეძახოდენ. სხვებიც ასე ეძახოდენ მათ.

აი ამ ბოლშევიკებმა იმ 1917 წელს ქალაქ ბრესტ—ლიტოვსკში გერმანელებთან შეჰკრეს ზავი, რომელსაც სხვა ხელშეკრულებათაგან გასარჩევათ ეწოდა „პოხაბნი მირ.“ (ქართულად „სასახელო ზავი“).

ვინაიდან თათრები გერმანელების მოკავშირენი იყვნენ, მათი გულის მოსაგებათ ბოლშევიკებმა ოსმალებს ბათუმის, არტაანის და ყარსის ოლქები უფეშქაშეს.

დიახ, გერმანელების მოსამადლიერებლათ მის მოკავშირე **თათარს ბათუმი და მისი ოლქი საჩუქრად უბოძეს.**

როგორც ხედავთ აქ აშკარათ სჩანს ბოლშევიკების სურვილი: ბათუმი და მისი ოლქი საქართველოს დარჩენოდა.

ეს „პოხაბნი ზავი“ მათი პირველი ცდა იყო საქართველოს გასაბედნიერებლათ. დიახ, ამას მე დაგიმტკიცებთ.

ბოლშევიკებმა იცოდენ, რომ საქართველო უბრძოლველათ არ დასთმობდა ბათუმს და რომ ქართველი ხალხი ბრძოლაში გამორწთობილიყო, კომუნისტებმა გაუჩინეს ბრძოლის გასაჩაღებელი მიზეზი: ბათუმი თათრებს გადასცეს.

აი რა ძნელია ისტორიულ ხლართებში გარკვევა!

მაგრამ ბოლშევიკების საქართველოზე მზრუნველობა მარტო ამით არ დასრულებულა. ამით მხოლოდ დაიწყო.

ბოლშევიკებმა ჩინებულათ იციან, რომ რაც უფრო ძეტი საფრთხე მოელის ერს, მით უფრო ეწრთობა მისი ორგანიზმი, მით უფრო კაჟდება და სალკლდევდება მისი გული. ეს აქსიომაა!

ამიტომ, როგორც კი დაიწყო ბათუმის გარშემო ომი ქართველთა და თათართა შორის, ბოლშევიკებმა ჩვენი ენერგიის გამოსაცდელათ და ჩვენი ხასიათის განსამტკიცებლად **ცხინვალის რაიონში პირველი აჯანყება მოგვიწყვეს.**

უბრალო მაყურებელი ამ აქტს მოღალატეობათ, ზურგში მახვილის ჩაცემათ, სამშობლოს გაყიდვათ, ვერაგულ საქციელათ და სხვა ამ გვარ არა სასახელო მოქმედებათ ჩასთვლის, მაგრამ მე, როგორც ისტორიკოსს, არ შემშვენის ეს საერთო აზრი გავიზიარო.

ბათუმის დასახსნელათ გამგზავრებული სახალხო გვარდია ცხინვალს ეკვეთა. იქ კი ბათუმის ფრონტზე ქართველი მეომრები უთანასწორო ბრძოლაში სისხლიდან იცლებოდენ.

ქართველმა დემოკრატიამ, როგორც მოგეხსენებათ დაეცხრო ცხინვალის აჯანყება. გვარდია გაემართა ბათუმისაკენ. ცხინვალის აჯანყების მოწყობა და ახალგაზრდა გვარდიის მიერ მისი ჩაქრობა, ბალშევიკების პირველი გამარჯვება იყო. მართალია, მათ დიდძალი რუსული ფული და ქართული სისხლი დაეხარჯათ ამ ცხინვალის პირველ გაკვეთილზე, მაგრამ გვარდიას საკმაო გამოცდილება ბრძოლისა შესძინეს და ეს ხომ ხუმრობა საქმე არ იყო.

ცხინვალიდან ბათუმისაკენ გამგზავრებული რაზმი ვალიკო ჯუღელისა ბოლშევიკებმა კინაღამ მიუშვეს ბათუმამდე. რაზმი უკვე სამტრედიაში იყო მისული, რომ ბოლშევიკების გულში კვლავ გაიღვიძა საქართველოს სიყვარულმა, კიდევ მოისურვეს ახალი გაკვეთილის მიცემა და **მოახდინეს საშეგრელოს აჯანყება.**

გაბალშევიკებული მეგრელები გაიძ.ხოდენ:

— ვერ მოგვატყუებს საქართველოს მთავრობა, თათრები ჩვენი ძმები არიან, ჩვენ იმათთან საჩხუბარი არაფერი გვაქვს, ჩვენ იმპერიალისტები არა ვართო.

მეგრელების ასეთ განვითარებაზე, რა თქმა უნდა ბოლშევიკებს დიდძალი რუსული ფული და ქართული სისხლი დაეხარჯა, მაგრამ ისინი სხვისას არასოდეს არაფერს არ ზოგავდენ, რისთვისაც ისტორია საბოლოო ფურცელზე მათ დიდ მადლობას ეტყვის.

თფილისის გვარდია ბათუმის გზიდან სამეგრელოსკენ მიბრუნდა აჯანყების ჩასაცხრობათ, ხოლო ბათუმის მიდამოებში ქართველი დემოკრატიის სისხლი უხვად იღვრებოდა უთანასწორო ბრძოლაში.

მკითხველი, რომელიც მხოლოდ იმას უჯერის რასაც თავისი თვალით ხედავს, სამეგრელოს აჯანყებას ქართველ კომუნისტებს მოღალატეობათ, ზურგში მუხანათურათ, სამშობლოს გაყიდვათ იუდა-ისკარიოტელობათ და სხვა ამგვარ არა სასახელო მოქმედებათ ჩაუთვლის, მაგრამ მე, როგორც ისტორიკოსს, რასაკვირველია არ შემფერის ამ ახირებულ მოქალაქეთა ფსიხოლოგიურ ფერხულში ჩამბა.

ჩემი აზრით ბოლშევიკებმა იმისთვის მოატყუეს მეგრელები, იმისთვის დახარჯეს მათზე იმდენი რუსული ფული და იმისთვის მიუსიეს მეგრელები ისედაც სისხლიდან დაცლილ მოძმე ხალხს, რომ უფრო მეტი გამოცდილება შეეძინა, როგორც ქართველ ხალხს, ისე მის მხედრობასა და მთავრობას.

მრავალ რიცხოვანმა და გამარჯვებულმა ოსმალომ აიღო ბათუმი, მისი ოლქი და გურიის ნაწილი.

ქართული ბოლშევიკები სიხარულით ცას ეწეოდენ (რუსულები მით უმეტეს!) ისინი ამბობდენ:

— აი ახლა მიეჩვევიან ბრძოლას ქართველები, ახლა შეიძენენ ნამდვილ სამხედრო გამოცდილებასო.

მაგრამ ხომ მოგეხსენებათ ქართული ანდაზა: „სწავლა კაცს სიბერემდის არ მოსჭარბდებაო“.

საქართველო ბოლშევიკებს ისე უყვარდათ, რომ მარტო ამ ორ გაკვეთილს მას ვერ აკმარებდენ. მსხვერპლს ისინი არასოდეს არ ერიდებიან.

და აი, როცა ქართველი ჯარი ჩოლოქის მიდამოებში თათრის ბრბოებთან სამკვდრო სასიცოცხლო ომს აწარმოებდა, ბოლშევიკები მის ზურგთ უკან, აფხაზეთში ახალ აჯანყებას აწყობდენ, მდინარე კოდორთან თავისი მეგობრების, თათრის დესანტის გადმოსხდომასაც შეუწყვეს ხელი, რომ ამით უფრო განეევითარებიათ ქართველი ხალხის ბრძოლის ენერგია.

ქართველმა დემოკრატიამ რა თქმა უნდა ეს გამოცდაც დაიჭირა და ბოლშევიკების ბრბოები ტუაფსეს იქით მთებს გადაღმა გადაჰყარა.

უბრალო ქართველი ამ აჯანყებასაც მოღალატეობათ ჩაუთვლის ქართველ კომუნისტებს. მაგრამ როგორც ისტორიკოსს, უფლება არა აქვს ეს აზრი გავიზიარო. ისინი ე. ი. ქართული კომუნისტები სოხუმის აჯანყებასაც იმისთვის აწყობდენ, რომ ქართველ დემოკრატიას სავარჯიშო საქმე ჰქონოდა.

თათრის ჯარი ბათომის ოლქიდან ჯავახეთსა და ბორჩალოში შემოიჭრა. ბრძოლის ფრონტი თფილისის ახლო შემოიხაზა. ქართველი დემოკრატია გააფთრებით იბრძოდა.

რასაკვირველია არც ბოლშევიკები ცხრებოდენ.

საქართველოს გასამხნევებლათ მათ მოაწყვეს დუშეთის აჯანყება. საშა გეგეჭკორი მეგრელ-სვანლეჩხუმელ ყაჩაღთა რაზმით ჩრდილო კავკასიაში გადავიდა, იქ (კავკასიაში) ფილიპე მახარაძის ლოცვა-კურთხევა მიიღო და დარიალის მხრიდან საქართველოს შემოესია.

დღევანდელი ოთარ-ბეგი კიროვისა, სერგო ქავთარაძე მაშინ, როგორც ამბობდენ, დიდი ჩემოდნით რუსულ ფულებს ანაწილებდა აჯანყებულთა შორის. ამგვარათ თავისი წვლილი თითქმის ყველა კომუნისტს შეჰქონდა საქართველოს განმტკიცების საქმეში.

ქართველ ხალხს დიდი ენერგია და შრომა დაეხარჯა ამ ყაჩაღთა ბრბოების უკუქცევისა და განადგურებაზე, მაგრამ გამოცდილებაც დიდი შეიძინა, რასაც ასე დაუზოგველად ცდილობდნენ ქართველი კომუნისტები.

არც ამით დამთავრებულა ქართულ კომუნისტების ღვაწლი საქართველოს წინაშე.

იმათი მეოხებით მოეწყო საერთო აჯანყება საქართველოში შინაური ფრონტის გამოსაცდელათ.

იმათი მოღვაწეობით გაჩაღდა საქართველო—ადერბეიჯანის ომი.

იმათი მოღვაწეობით მოხდა სამხედრო სასწავლებელზე თავდასხმა.

იმათი მეოხებოთ დაიწყო და განვითარდა ოსეთის მესამე აჯანყება.

იმათი დაუღალავი შრომით მზადდება მომავლისათვის არა ერთი და ორი მსგავსი წარსულისა გაკვეთილი ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოთ.

მადლობა ღმერთს, რუსული ფული ჯერ კიდევ უხვად მოეპოება ქართულ კომუნისტებს.

ამგვარათ, ბოლშევიკ—კომუნისტებმა საქართველოს განსამტკიცებლათ ჩვენი ქვეყნისათვის მძიმე სა და ჯოჯოხეთურ პირობებში მოგვიწყვეს:

1) ცხინვალის პირველი აჯანყება.
2) სამეგრელოს აჯანყება.
3) აფხაზეთის აჯანყება.
4) დუშეთის აჯანყება.

5) საერთო შინაური აჯანყება.
6) სამხედრო სასწავლებელზე თავდასხმა.
7) ადირბეიჯანთან ომი.
8) ცხინვალის მესამე აჯანყება.
9) აჭარის აჯანყება და სხვა მრავალი.

და დღეს, როცა ბათუმი და მისი ოლქი საქართველოს დაუბრუნდა, ნუ თუ გამოჩნდება ისეთი უმადური ქართველი, რომელიც იტყვის: ბალშევიკ-კომუნისტებს საქართველოს განთავისუფლების საქმეში თავისი ღვაწლი არ მიუძღვითო.

ასე ძნელია, მოქალაქენო, ისტორიულ ლაბირინტში გზის გარკვევა.

ისტორიკოსი.

შექანჯალებულის ლექსები.

ალილუია, ალილუია,
ალილუია ხუ'ცესო...
ეხლა რით ჰყორავ მუცელსო?!
ალილუია, ალილუია.
ალილუია შენ ღმერთო.
მომხედე ჭკუა წამერთო.
აჰა, ჭკუიდან ვიშლები.
ცხვირზე ამომდის ვაშლები...
მკივა, დამხურეთ თავშლები...
არ მოგწონთ თქვენ შეშლილები...
და არც შექანჯალება...
მაგრამ ტყუილად ირჯებით!..
ადიდეთ ყველამ გიჟები...
ადიდეთ!—მათ ჭკვა დაკარგეს...
ჭკვა ჰქონდათ და ის დაკარგეს...
თქვენ რა გაქვთ? რაღა დაკაროგთ.
რაც არ გაქვთ, მას ვერ დაკარგავთ.
ჩვენ ცხვირის წვერზე ხეს დავრგავთ.
ვხარობ, არავინ ჩვენ არ გვგავს.
ჩვენ ქვეყნად ტოლი არსად გვყავს...
აბა! ადიდეთ გიჟები...
აზავთებული ვაჟები...
გავიძროთ ფეხზე სანდლები...
ეხლა ვადიდოთ **ჩვენ ღვდლები**
საეკლესიო კრებული
ქრისტესგან შავ-კუპრ ცხებული—
შავ ზრახვით აცეცხლებული...
გამკიცხავენ, მეფიქრება,
მაგრამ ვფიცავ, იგი კრება—
ეხლაც ტვინში მძლეთ მეკრება..
არ დავწერო არ იქნება..
ერთხელ მხოლოდ ისიც ცხადში.
ისიც ცხადში არ სიზმარში,
ქვემოდ, ქაშვეთის ტაძარში
ქართველ მღვდელთა ვნახე კრება.
(ვფიცავ ეხლაც გულს მეყრება..)
ფრთხილად! არვინ წამისიო?
ეს კრება საეკლესიო,
ჰფუ! შერცხვეს უკეთესიო,
მსგავს ვერ სჭვრეტ, რაგინდ ეძიო.)
ტახტზე იჯდა ლეონიდი,
სულ გრძელობით მყარი, დიდი...
მარჯვნივ ამვროს ჯდა... ურბნელიც,
ვსჭვრეტდი, ვსტკებოდი სულ-ბნელი,—
მარცხნით იმერთა ნაზარი...
მოხუცი ტკბილი, ნაზ არი...
ვით დეზეტირთა ბაზარი,,
კრება სჯდა ანაზანზარი..,
ჭქუხდა, დრტვინავდა, გრგვინავდა,
მუცლის შესახებ ღრინავდა,
მათ თავლში რიხვა ბრწყინავდა,
ეს მეტად მე მაშინებდა...
ღვდლები რომ შეგვაგინებდა
კრებული გაიცინებდა ..
ბევრს რამ ვეტყვი, ვინც მოიცლის...
ათას ცხრაას შვიდმეტი წლის
დებულებებს სწრაფლ ეკვეთ ს,
და ასე გადაკეთეს:
ოთხ ფორმულით არჩევნები
მოსრეს, დაუშინეს ქვები,
სთქვეს: „აწ კათალიკოსები,
ყველა:—ეპისკოპოსები,
მღვდელ-მთავრები, და თვით ღვდლები,
(ერის ბჭენი და კედლები)
კრებულს რათ ავარჩევიოთ?
ჩვენ დავნიშნოთ გვირჩევნია—
— წარმოადგინონ თხოვნები,
და ღირსი კი ვინც იქნები,
ლეონიდი ხელს დაგადებს,
მორწმუნეთ **უწინადადებს**
რომ ის პირი აირჩიონ...
თუ გინდ შავი თეთრს არჩიონ...
ძირს არჩევა ოთხ ფორმულით!
უზრუნველ რად არ გვყვეს ფულით?
მორწმუნეთ რეფერენდუმი
არ გვსურს... არ გვაძლებენ დუმით!...
სჩანს, ერი გახდა ველური,
არ გვსურს კოლეკიალური
ორგანონი... სთქვეს და მოსპეს!
რაღას ეტყვიან მეუფეს?!
სევდა მტანჯავს ეგზომ მწველი,
რომ ბრაზისგან სულ ცხვირს ვწველი.
მღვდელ მთავრებს შეუზღუდველი
მიანიჭეს იქ უფლება...
და შექმნეს მყის მონარქები...
მიტომ მინდა მათ ვკრა რქები...
ზოგს მუშტები, ზოგს ჩლიქები...
(როგორ გაძვირდა ჩულქები?)
გაიგე ძმავ იაგორა?
დაადგინეს: ანაფორა

ყველგან ატარონო ღვდლებმა...
(ისინი კი სჭამოს მგლებმა?)
ეს უნდა უთხრა ბურბულოს:
ისევ უნდა ვიმარხულოთ
იქ აი, რა დაადგინეს:
ყველა მარხვა აღადგინეს,
რადგანც ურწმუნო მორწმუნეთ,
ხორცი ვეღარ დაუთრგუნეს,
აღდგესო ისევ მარხვები.
(ხომ მოგწონთ მათი ზრახვები?)
დღეს სოფლებში ძმავ მორწმუნე,
ამაში შენ დამერწმუნე
ხორცეულს სჭამს დღე-და-ღამე,
და ქონისგან თურმე გიჟობს,
ვიმარხულოთ ისევ გვიჯობს,
სულ ყველა დიდი მარხვები—
(თუნდაც ვჭამოთ უმი ქვები)
ვიმარხულოთ ოთხშაბათი,
გადაგვრჩება ყველი ათი.
ხანდისხან ღვდლებს გაუხსნილოთ,
ჩვენ ჩავიმხრალ-ჩავიწნილოთ,
ვიმარხულოთ პარასკევი,
ვლეკოთ მშიერ კუპზე კევი,
ხორცი ვტანჯოთ, ხორცი ვგვემოთ,
ხორცეულს ნუ უმცნობთ გემოს.
და მით სული გავაბრწყინოთ,..
დღეს მშიერ მღვდლებს მოულხინოთ)
მონარქისტულ ეკლესიას
ჩაუყარეს საფუძვლები...
მოენატრათ ბატკნის ძვლები...
საკურთხები და ღვეძლები...
ხაჭაპურები, კვერცხები.
რავქნათ, თუ ღვდლებო ვერ ძღებით,
შამოგეცალათ მორწმუნე,
ეხლა კი უფრო მერწმუნეთ
ასე დააფრთხობთ მორწმუნეთ
თქვენ ისევ ის ხართ, რაც იყავით,
ამით მორწმუნეთ გარიყავთ
დღეს თქვენს ერს დემოკრატიულს,
სძღვნით წესრიგს თლად მონარქიულს...
მაშ.. აბიბინდით ტყე-ველნო...
და თქვენ კი კათაკმეველნო,
სჯობია, დროზე განვედით,
ნუ სტანჯავთ თავ ტყუილ იმედით.
სკოლებს ხელ ნუ უფათურებთ,
კმარა რაც აუბედურეთ...
კვლავ ვასწავლოთ საღვთო სჯული?
(თფუ! კი გაწყდა თქვენი რჯული
იქ ჭკვა თხელ მამინაშვილმა,
ერის ხორცმეტ უშნო შვილმა,
უქმეები აღადგინა
სულ გაკიცხა, სულ აგინა
შოვინისტი მინისტრები,
უქმეების მკაცრი მტრები,
და დაუკრეს ერთხმად კვერი...
და რომ ხშირად სეფისკვერი
სჭამონ, შეიფურჩქნონ წვერი,
უქმე ყველა აღადგინეს...
იღრიალეს, მოილხინეს...
ბევრი იცნობთ იმას მგონი:
გიჟი მამა იასონი—
იასონი კაპანაძე
ვერსად ნახოთ ქვეყანაზე
მის საბადლო, მისი მსგავსი.
(შევაჭამე ქვა და ხავსი)
სთქვა: „მამანო! ნიაღვარი,
სეტყვა, ქარი, თუ რაც არი
მიწისძვრამ რომ მოსპო გორი,
(არ გეგონოთ თქვენ ეს ჭორი)
ეს ურწმუნოთ ბრალიაო...
რომ არ გწამთ უფალიაო,
ყანას მომკის კალიაო.,
ქმრებს ღალატობს ქალიაო...
ნაცვლად ღდელმა იმერელმა,
მოსასმენად საყვარელმა
ლოცვის კითხვით დაგვიმტკიცა,
თუ რწმენა ვით გაიმტკიცა
იმერეთში მორწმუნენმა..
და სთქვა ეს იმ შესარცხვენმა:
ჩვენში დადის ქალებიო,
სოფლად ფეხშიშველებიო,
ლოცვით, ხოხვით, ცრემლთა ვრქვევით,
ალმა-დალმა, ზევით, ქვევით,
და ერს ღმერთს ავედრებენო,
მიტომაც იმარჯვებენო,
ჩვენი ლოცვით ჩვენი ჯარი...
ჩარი, რამა, ბოშო, ჩარი...
გავაგოროთ ფანჯი ჩარი,
არ მოვიდეს იაგნები,
თორემ ნაწყენი ვიქნები....
ღვდლებმა შექმნეს წმინდანები
(კისერში მათ ხმალ-დანები)
და რა ნახეს ხალხი სოფლად,
უპატრონოდ, საწყლად ობლად,
წმინდანები მიუსიეს..
ამაგრებენ ეკლესიას....
მწამს, ჭორი არ გეგონებათ,
დაადგინეს, რომ ქონება,
რაც კი ქონდა ეკლესიას,
შევადგენთო იმის სიას,
დაგვიბრუნდეს ისევ ჩვენო,
(ეჰხ, ღმერთმა თქვენ შეგაჩვენოს)
ხალხის დოვლათს ვინ მოგართმევთ.
მუქთად ლუკმას არვინ გაჭმევთ,
რა გინდ იწუწუნ-იტიროთ!
თუ ვისთვისაც ხართ საჭირო,

(არ სალხინო და საჭირო)
ემსახურეთ და ის გაჭმევს..
ის ჩაგაცმევს, იგი გასმევს,
რა უყოთ, თუ აღარ გეყოთ....
რა ვქნათ თუ ვერ გაიბეყოთ
ძველებურათ თქვენ მუცელი..
აღარ არის დღეს დრო ძველი..
სხვა ღმერთი გვყავს სალოცველი...
შემიწუხდა სული-გული.
მომაშველეთ, გთხოვთ ყინული...
აბა მსხალი, დული, დული..
დავაწყნარეთ ყველა ოსი. ...
მხოლოდ სთქვეს: ეპისკოპოსი
ვერც აწ შეირთავს ცოლსაო,
ერთი ცოლი მას რას არგებს,
გაიჩენს წყვილს და ტოლსაო,
პავლე მოციქულს თუმც უთქვამს:
„ქმარ იყავთ ერთი ცოლისა;
მაგრამ ჩვენს ეპისკოპოსებს
მადა აქვთ ბევრთან წოლისა....
ხომ იცი, შენ კიკოლაო,
ჩათრევას სჯობს ჩაყოლაო...
გადასწყვიტეს სახელმწიფოს
ეკლესია გამოეყოს....
და უარი არა ვინ ჰყოს
რწმენის თავისუფლებასო..
ეკლესიის ქონებაზე
კვლავ ვიტოვებთ უფლებასო..
იცი, სოსიკო, გოგია?..
იქ შექმნეს დემაგოგია,
ლეონიდემ მღვდელ-მთავრებით:
სთქვეს: „ხალხს არ ვემსახურებით“
არცა-ვწირავთ, არც ვიუქმებთ,
თუ ეხლავ არ 'გააუქმებთ
არჩევნებს ოთხ-ფორმულიანს!!
აბა, წმინდანთ და მადლიანთ,
მამებს უარს ვინ კადრებდა..
სულ, ყველანი ნეტარებდა
და გაუხთენ მათ თანახმა...
და ახტუნეს აღმა-დაღმა,
იმათ კრება სამღვდელოთა..
სთქვეს: კვლავ მღვდელმა თუ ილოთა,
ჩიჭრს მოგვცხებსო, შეგვარცხვენსო,
ტოლუმბაშათ ნუ დავდგებით,
ნურც მივიღებთ ნურვინ ძღვენსო,,
მხოლოდ მოგვცენ ჯამაგირი,
რომ ავიღოთ მაღლა ცხვირი,,
(საკურთხს არ გვიწვდება პირი)
ვართ ყველაო ანატირი.....,
და რა სასოწარკვეთილი
ანატირი, აცრემლილი,
ლეონიდემ ნახა კრება,
ადგილით წამოიჭრება,
კრებულს ასე ანუგეშებს:
„ნუ სწუხთ, ნურვინ ნუ იგვნეშებთ,
უიმედო ნუ იქნებით,
მომდის მორწმუნეთ თხოვნები,
სჩანს დღითი-დღე მრავლდებიან.
დახმარებას გვპირდებიან—
თუმც ურწმუნო ერობები,
ხშირად გზაზე გვეღობება....
თუ ჩვენს შორის გეეშვებათ
თუ არს ვინმე, ვსთქვათ ურწმუნო,
ვალი არის რომ იზრუნოთ
მყისვე მე აქ მომახსენოთ...
რომ ურწმუნოს გზა უჩვენოთ..
დავრჩეთ გულ დანამშვიდები
დავრჩეთ ვულ დანაშუშები..
დაფაცურდენ ჯაშუშები..
და დემოკრატ ღვდლებს ზვერავდენ,
უბის წიგნში, იწერავდენ...
კამათლებო! აბა ჩარი...
ჩარი, მაღე ფანჯი—ჩარი..
ხომ ხედავ, რომ მე ვიჩქარი..
დამიბერავს თავში ქარი
გამივამდება ფანქარი...
ვიშ, ვათავებ, ცოტა მრჩება:
გერასიმე არ დამრჩება
იმნაიშვილად ცნობილი...
მისგან ბევრჯერ მოვისმინე
სიტყვა მღვდლებისათვის ტკბილი...
და დემოსის მართველებს კი
ხშირად გაკრა აქ-იქ კბილი,
გერასიმე იმნაშვილი,
„უჩიტელ“ მამინაშვილი,
რაც მამანი, იგიც შვილი
მასთან გიორგ დავიდოვი..
კრებულთ საბჭოს სეკრეტარი..
ჭკვაზე შეცდა ის ნეტავ რით?
სჯობს მივბეგვოთ იგი ყავრით..
თითქმის იგი მორწმუნეობს,
ღვდელ მთავრებთან კი ბუზმენტობს,
საღაც ნაირად აგენტობს
„საიდუმლოებს“ აგროვებს,
და ვისაც კი ის უდროვებს,
სადაც ჯერ არს მოახსენებს.
ერთგულობას მით უჩვენებს..
კამათლებო! შაში. შაში!
გამიცივდა ტვინი ჭკვაში,
ჯავრით ცხვირი გახდა გრძელი..
და ხელ[illegible]ნელა ხელით ვწველი..
ხომ[illegible]ეს [illegible]გინდათ ერობა-ყველი?!

შექანჯალებული.

ჰატარა ფელეტონი.

მოსალოდნელი უბედურება.

უნდა მოგახსენოთ, რომ მე ამიერკავკასიის პარტიოტი არ გახლავარ. ჩემი ასპარეზი ორში ერთია: ან მსოფლიო, ან საქართველო.

მიუხედავათ ამგვარი პრინციპიალური შეხედულებისა მე მაინც ძლიერ მაფიქრებს ჩვენ მეზობელ რესპუბლიკათა ბედი. ადერბეიჯანის მიერ უმანკოების, (ანუ უკეთ ვსთქვა დამოუკიდებლობის) დაკარგვა ლახვარივით მოხვდა ჩემს გულს, ხოლო მოსალოდნელი შეტაკება სომხეთსა და ადირბეიჯანს შორის მწარე ფიქრებით ავსებს ჩემს არსებას.

შეტაკება და სისხლის ღვრა კი ამ ორ მეზობელ და მოძმე ერთა შორის პირდაპირ აუცილებელია.

ისეთი რთული საკითხი დაისვა ორ მეზობელ მოსიყვარულე და მონათესავე ერთა შორის, რომლის გადაჭრა მხოლოდ და მხოლოდ ხმლით შეიძლება, ვინაიდან აქ სხვა საზომი ყოვლად მიუდგომელი და გიმოუსადეგარია.

მე მოგახსენებთ გაცვლა-გამოცვლის საკითხის შესახებ.

როგორც გაზეთები გვაუწყებენ სომხეთსა და ადირბეიჯანს შორის საკითხი აღიძრა ტყვეების გაცვლის შესახებ. სომხეთს დატყვევებული ჰყავს კომუნისტები, ხოლო ადირბეიჯანს დაშნაკცაკანები.

საჭიროა მათი გაცვლა-გამოცვლა.

გაცვლა-გამოცვლის საკითხში, როგორც მოგეხსენებათ ეკვივალენტის როლს ფული ასრულებს და მიუხედავათ ფულის ფასის სხვადასხვაობისა მაინც მოსახერხებელი ხდება ერთი მეორის შეფარდება და კურსის აღდგენა.

მაგრამ დამერწმუნებით რამდენათ ძნელი უნდა იყოს დაშნაკცაკანისა და ბოლშევიკ-კომუნისტის კურსის გარკვევა. აქ ვალიუტის საკითხი ძლიერ ქანაობს და ვეჭვობ თვით თუ გამოცდილმა სპეკულიანტმა გამოარკვიოს თუ რომელ ამათგანს უნდა მიეცეს უპირატესობა. ამიტომაც დამეკარგა იმედი მოლაპარაკების მშვიდობიანათ გათავებისა.

წინასწარი მოლაპარაკება ბ-ნ ბეგზადიანსა და გუსეინოვს შორის უკვე დაიწყო ჩვენს დედა ქალაქში. მოლაპარაკებას, რომლის შინაარსსაც დაახლოვებით ქვემოდ გადმოგცემთ სასურველი პირი არ უჩანს, ვინაიდან ვერ გამოინახა ისეთი საზოგადო თვისება გარდა ავაზაკობისა (преступность) რომლის მიხედვითაც შესაძლებელი ყოფილიყო ამ ღირებულობათა შედარება. პირველი მოლაპარაკებაც ამ ნიადაგზე სწარმოებდა.

ბ-ნი ბეგზადიანი. პატივცებულო კოლეგა! ჩემის აზრით თითო კომუნისტში უნდა დაგვიბრუნდეს ხუთი დაშნაკცაკანი, როგორც თანაბარი ღირებულება ერთი კომუნისტისა. თუ თქვენ საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ, მე ჩვენს გადაწყვეტილებას ვაცნობებ ჩემს მთავრობას ერევანში.

ბ-ნი გუსეინოვი. ძვირფასო მეგობარო! ჩემი შეხედულებით თქვენი მოსაზრება ყალბს ნიადაგზე აგებული და ჩემთვის სრულიად მიუღებელია. თუ ავაზაკობის (преступность) პრინციპს მივიღებთ საფუძვლათ თითო დაშნაკცაკანში ხუთი კომუნისტი უნდა დაგვიბრუნოთ. ნუ თუ თქვენთვის აქ საეჭვო ელემენტი კიდევ არსებობს რამე.

ბეგზადიანი. როგორ? ეს რა მესმის, ამხანაგო? ნუ თუ ერთი კომუნისტი, ის კომუნისტი, რომელმაც მთელი რუსეთი დაანგრია, რომლის მიზეზით უსაზღვრო რუსეთის სიგრძე-სიგანეზე მხოლოდ ოხვრა და კვნესა გაისმის, რომელმაც ასი წლით უკან დასწია რუსეთის ცხოვრება... ნუთუ ასეთი კომუნისტი სამ დაშნაკცაკანათ მაინც არა ღირს? მეტის დაკლება არ შემიძლია.

გუსეინოვი სწორეთ გაუგებრობაა. მე წინათვე ვიცოდი, რომ სომხეთი ასეთ აშკარა და უდავო საკითხსაც სადაოვოთ გახდიდა. ნუთუთქვენთვის საიდუმლოებას შეადგენს, მეგობარო, ამ მხრივ დაშნაკცაკანთა დამსახურება. ვისი მიზეზით არის, რომ მთელი სომხის ერი თითქმის ბოგანო და წამებული შეიქნა? ვინ არის ის ბოროტი გენია, თუ არ დაშნაკცაკანი, რომელმაც მოინელა ეს ხალხი, რომელმაც ზღვა სისხლი და ცრემლი ადინა სხვასაც და თავის ერსაც. მე არ მეგონა თუ აქ სავაჭრო და სახათაბალო გახდებოდა ამ ნათელი კითხვის გადაჭრა. ერთ დაშნაკცაკანში ორი კუმუნისტი! ეს ჩემი უკანასკნელი სიტყვაა.

ბეგზადიანი. სრულიად გულდამშვიდებით ვისმენ თქვენს სიტყვებს პატივცემულო მეზობელო. მე ვიცოდი, რომ ადირბეიჯანი არ მოისურვებდა სომხეთთან შეთანხმებას, ვინაიდან მას სხვა ფარული ზრახვანი ასულდგმულებს. მთელს მსოფლიოში არ გამოჩნდება კაცი, რომელმაც ჩვენს წინადადებაში საეჭვო და გადამეტებული დაინახოს რამე. სრულის შეგნებითა და პასუხის მგებლობის გრძნობით აღტურვილი ვდგები დათმობის გზაზე, გაძლევთ ჩემს უკანასკნელსა და ურყევ წინადადებას: ერთი კომუნისტი მიირთვით, ორი დაშნაკცაკანი დაგვიბრუნეთ! ღმერთი მოწამეა დავთმეთ, რის დათმობაც შეიძლებოდა.

მოლაპარაკება დიდხანს გაგრძელდა. მთელი ღირსებები დაშნაკცაკანისა და კომუნისტისა სრულის დასაბუთებით მოყვანილ იქმნა მოკამათეთა მიერ, მაგრამ მაინც შეუძლებელი შეიქნა ამის გამორკვევა, თუ რომელ მათგანს უნდა მისცემოდა უპირატესობა, რომელი მათგანის კურსია უფრო მაღალი.

საჭირო დარჩა საქართველოს მთავრობის ჩარევა, რომლის წინადადებით გადასწყდა მოწვეულ იქნას უფრო მრავალრიცხოვანი კონფერენცია. ჩვენ დიდის სიამოვნებით ვეგებებით ამ გადაწყვეტილებას მაგრამ ამასთან ერთად სრული დარწმუნებული ვართ, შერიგება ვერ მოხდება თუ გაცვლა-გამოცვლა ბრინჯზე, ტყავზე ან სხვა რამ საგანზე არ მოხდა და ამგვარათ სისხლის ღვრა აუცილებელი იქნება.

მორიელი.

საბჭოთა რუსეთის გამოჩენილი მსახიობი ლევ ტროცკი თავის საუკეთესო როლებში.

იულიოს კეისარი. თავს დაფნა მიმკობს, ტანსა ტოგა, ვარ კეისარი!
ვინც არ მირწმუნებს, მისთვის ხელთ მაქვს მზათ მე ისარი!

ფრიდრიხ დიდი. ზედ ჩემზედ არის გამოჭრილი რთული როლი დიდ ფრიდრიხისა...
აქ საკმაოა გამოჩენა თავხედობის და დიდ რიხისა!

ნაპოლეონი. აბა სთქვას ვინძემ მიუდგომლათ, რით არ ვგევარ ნ პოლეონსა.
ნაპო მაკლია მხოლოდ, თორემ მეძახიან მეც ხომ **ლეონსა**!



ვლ: დიმერ მონომახი. მძიმე ყოფილხარ, ჰოი ქუდო ბონოძეისა!
ქუდი კი არა, ხაფანგის ხარ მსგავსი, ბახისა!

უხვი მგზავრი.



მგზავრი. ჰა, მეეტლევ, 500 მანათი... ხომ გეყოფა?

მეეტლე. რასა ბრძანებთ, ბატონო! სულ ათი თუმანი მერგება, 40 თუმანს ხურდას მოგართმევ...

მგზავრი. არა, გეთაყვა... ხურდა არ მინდა... შენ საწყალი კაცი ხარ... გქონდეს ეგ ფული... ჩვენ, კომუნისტები, საწყალი ხალხის მომხრეები ვართ.. კიდევ თუ დაგჭირდეს დახმარება, ჩვენთან მოდი, ჩაეწერე და დაგეხმარებით.

გმირი.

> გმირი ის არის ვინაც რომ მუშტებით სწყვეტს სამართალსო, ან ის, ვინაც იერუსალიმს იესო ქრისტე მიიყვანა.
>
> **სიტ. ზურგიელიძე.** XV ტ. სტ. 176

პეტრე და პავლე გულიანათ იცინოდენ.

რესტორან „დავლიოთ"-ის პატრონს დანა კბილს არ უხსნიდა.

ცალკე კაბინეტიდან მოქეიფეთა მხიარული ხარხარი ისმოდა. ეტყობოდა ქართველები იყვენ. დროგამოშვებით ცედური მრავალ ქამიერის ნარ-ნარი ჰანგი ბუზებით, ობობებით და თამბაქოს ბოლით გაშავებულ ჭერს ეალერსებოდა.

— კაცო, საიდან გამოიწერე ასეთი მუშტრები?.. სიცილით ეკითხებოდა პავლე ნესტორას („დავლიოთ"-ს პატრონს ასე ერქვა) რას დახარჯავენ.

— დახარჯვით სიცოცხლე გაქვს—ჩაერია ლაპარაკში პეტრე—მაგრამ გადახთის კი რა მოგახსენო. ხა, ხა, ხა...

— მართლა, კაცო, „ნალოგში" გამოუქვითე...

— „ნალოგი" გუშინ წაიღეს. ამოხვნეშით უპასუხა ნესტორმა.

— ხა, ხა, ხა! ეს ნამდვილი ინგლისური პოლიტიკაა! ხა, ხა, ხა! ჯერ გადასახადი აკრიფეს

რეგისტრაცია.



ვინაიდან თბილისელ კომუნისტებს ფრიად დიდი გასავალი აქვსთ კატორგელებში და საუკეთესო ნიადაგი ციხეში (იხ. კატორგელების წერილები „კომუნისტში"), სჯობია მოღვაწეობა მეტეხში გადაიტანონ, რადგან აქ უფრო ადვილათ მოაწყობენ პარტიული ამხანაგების რეგისტრაციის საქმეს...

და შემდეგ იქეიფეს, წადი გამოუქვითე ეხლა. ხა, ხა, ხა!

კარებში ახალგაზდა გამოჩნდა.

— სად არიან ჩვენები? შეეკითხა რესტორანის პატრონს.

— მე-№ 5.

ყმაწვილი მეტათ აღელვებული ოთახში შეიჭრა.

— ბატონებო! მე ვერ წარმომიდგენია როგორ შეგიძლიათ თქვენ აქ იქეიფოთ, როცა ასეთი ამბები ხთება...

— რა ამბები, კაცო?

— ინგლისელები წავიდენ?

— ქართველები ხომ არ შემოსულან?

— დავიღუპეთ კაცი და ეს არის.

— მოისმინეთ, ბატონებო, მოისმინეთ. ინგლისელები არც წასულან და არც მიდიან. ეერც ქართველები ეღირსება აქ შამოსვლას. საქმე სულ სხვაშია. ძაღლის თავი სხვაგანაა დამარხული. ვიღაცამ გაგვწერა გაზეთში: თითქოს ჩვენ ქრთამს ვიღებდეთ. ფულით, თუ რესტორანებში უფასოთ ქეიფობით, თუ სხვა რითინე—სულ ერთია. უმთავრესი ისაა, რომ ჩვენ ქრთამს ვიღებთ. ბატონებო, გაგონილა ეს? წარმოგიდგენიათ? ჩვენ მექრთამეები? ნესტორ.

შემოვიდა რესტორანის პატრონი.

— ჩვენ მექრთამეები ვართ?

— რას ბრძანებთ ბატონო!

— ჩვენ გვიქეიფნია ოდესმე და ფული არ გადაგვიხთია?

— რავა გეკადრებათ ბატონო! დღეევანდელ ნახარჯს, ბატონო, თქვენ გადაიხთით.

— შენ დღეევანდელ ნახარჯზე არ გელაპარაკებიან. სულ რომ არ მოგცენ არც მაგით დაიფსები.

— ბატონებო, მიმართა მოქეიფეებს, ხომ დარწმუნდით ახლა, რომ ჩვენ მეკრთამეები არ ვართ? აბა ახლა ყური უგდეთ რა სწერია „ეშმაკის მათრახში“.

და წაიკითხა „კოსტიუმი“.

— ამის მოთმენა შეუძლებელია, დაიწყო სიკომ, რომელსაც მეტ სახელათ გმირს უწოდებდენ. ამას პასუხი უნდა გავსცეთ. ეს სლუჩაინი ვილაცაა თავს იგდებს.

— ბატონებო!—სთქვა მეორემ. ჩვენ რომ მე 15 საუკუნეში ვცხოვრობდეთ გაგვეხარდებოდა კიდეც გაზეთში გაწერა. მაგრამ მეოცე საუკუნეში! ნურას უკაცრაიგათ ბატონო! მიიღებს პასუხს. ჩემი წინადადება: მიენდოს გმირს გასცეს პასუხი ვილაც სლუჩაინია, რასაკვირველია, ჩვენებურათ, როგორც ჩვენისთანა კულტურასან ხალხს შეეფერება.

წინადადება ერთხმათ მიიღეს. ქეიფი გაგრძელდა.

— თეო, შენი ჭირიმე მიმეგზავნე კონსულთან. ეხვეწებოდა თმა აბურძგვნილი და ფერწასული გრ. სლუჩაინი ამხანაგს. მე კარგათ არ ვიცნობ ნიკოს. როგორმე მომიწყვე საზღვარ გარეთის პასპორტი მომცეს.

თეომ გაკვირვებით თვალები დაპყიტა და, თითქოს იალბუზის მთაზე იდგეს და მოსაუბრე კი თერგის ხეობაშიო, ისე გადმოხედა სლუჩაინს.

— კაცო, საზღვარ-გარეთ რა გინდა? სპეკულიაცია ხომ არ დაგიწყია?..

— რის სპეკულიაცია. ხომ წაიკითხე კვირას ეშმაკის მათრახში „კოსტიუმი“.

— წავიკითხე. საუცხოვო იყო.

— დღეს დილაზე გიორგი შემხვდა და მითხრა: არსად გამოჩნდე, დაიმალე, თორემ ცოცხალს არ გაგიშვებენ, ძალიან გემტერებიანო. ღმერთო, რა ხალხში ჩავარდი!

რას ამბობ, კაცო!—ამშვიდებდა თეო საწყალ სლუჩაინს. ველურები ხომ არაა, კაცებია. რავა გაგლახავენ. თუ შეურაცყოფილათ გრძნობენ თავს პრესის საშვალებით გაგცემენ პასუხს. თუმცა სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ცოტა ხანს მოერიდე. საკანდიტროში ნუ მოხვალ ამ ერთ კვირას, გზაზე ნუ შეეფეთები.

და წავიდა საწყალი სლუჩაინი სახლში, რომ ერთ კვირას არ გამოსულიყო.

თეო რო სლუჩაინს ამშვიდებდა, ჯაბარი საკანდიტროში იჯდა. მისი შუბლი ისე დაბურულიყო ფიქრებისაგან, თითქოს ქვეყნის ბედს სწყვეტსო.

— თქვენი გვარი? შეეკითხა ჩაფიქრებულ ჯაბას ახლათ შემოსულ ყმაწვილი, რომელსაც მეტ სახელათ, „გმირს“ უწოდებდენ.

ჯაბამ გაკვირვებით ჩაათვალიერა:

— თქვენ, როგორც გეტყობმთ, ღვინოსთან ცუდ განწყობილებაში უნდა იყოთ.

— მე გეუბნებით თქვენ... დაგვიწერეთ გაზეთში არა? თქვენ... ზნაჩიტ მი ვზიატკი ბერომ... ა! ვზიატკი ბერომ... ზნაჩიტ სლუჩაინი ვი ა...

და დაიწყო ყალ მაყალი. 1/2 დიუჟინა გმირები მიკსიენ ჯაბას და სიკვდილს უპირებდენ.

გაეშველეს.

ახლათ ამოსული მზის სხივები მხიარულათ ცეკვავდენ ჯაბას მელოტ თავზე. თავჩაღუნული გმირი იდგა მის წინ და ბოდიშს იხთიდა

— მაპატიეთ. მთვრალი ვიყავი... შევცთი... ღმერთი—რჯული არას დროს აღარ ჩავიდენ...

იქვე კუთხეში სლუჩაინი იჯდა და ღმერთს მადლს უხთიდა, რომ „გმირს“ შეეშალა და ჯაბარი მიიღო სლუჩაინათ. თან ფიცს სდებდა:

— ღმერთო ახლა გადამარჩინე და არას დროს აღარ დავწერ ასეთ ხალხზე, არას დროს.

Se—ეტ

P. კ. ბ—ნო ეშმაკო! მოახთინე ფიცხელი განკარგულება, რომ სლუჩაინმა ისევ სწეროს. ხანდახან მაინც შეინჯღრევა ბათუმის გმირთა დაძინებული სინდისი. თუმცა სოლ. ზურგიელიძემ სთქვა „კოკაში თხლე რაც უნდა ანჯღვრიო ღვინოთ მაინც არ გადაიქცევაო.“

30/VI-20

Se—ეტ.

სასიქადულო თანამემამულე

დიდება-ძოსილი და სახელ-განთქმული კომუნისტი

რევკო სოვნარხოზაშვილი.

რევკო (რევაზ) სოვნარხოზაშვილი დაიბადა სამეაროს იმ ჰლანეტაზე, რომელსაც დედამიწა ჰქვია, სახელდობ იმ ადგილას, სადაც მეცამეტე მერიდიანი ჩრდილო სიგანის ორმოცდა მესამე გრადუსს საზს ეხვდება.

სახელი მოიხვეჭა აფხაზეთის, ოსეთის, და სამაჭმადიანო საქართველოს ჰროლეტარულ მასების საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში.

დაარიგა ზემოჩამოთვლილ მხარეებში 57 მილიონი ნიკოლოზის ფული და 159 მილიონი კერენკა.

ამ ჟამად თბილისში იმეოფება და კომუნისტების მისიაში მუშაობს საქართველოსა და რუსეთს შორის დადებულ ხელშეკრულების განსაბათილებლათ.

რევკო სოვნარხოზაშვილის საბიოგრაფო მასალების შეგროვებას და ჰიროვნების დახასიათებას ჩვენი ჟურნალი შემდეგ №№-ში შეუდგება.

ვთხოვთ ეველას, ვინც იცის რამ ამ შესანიშნავი ადამიანისა, დაუეონებლივ მოაწოდონ ჩვენს რედაქციას, რათა არ დაგვრჩეს გაუშუქებელი არც ერთი მხარე ჩვენის ეოვლად შესანიშნავი თანამემამულის მოღვაწეობისა.

სცენა აჭარის ცხოვრებიდან.

იმ დღეს, ჭოო, ყანაში ვმუშაობდი ფერდოზე, გამოძვრა ვინცხა ტყიდან და დიმიწყო ბზერა: „ბელქი, დავფიშმანდი, ვინ უნდა იყოს აგი მეთქი, მევირე ლივერზე ხელი და შუუძახე: ეეეიტ, ვინ ხარ კაძახო? თქვი ბორჯზე, თვარა მევიდა ყურშუმი შუბლში მეთქი...

ნუ გეშინია, აფხანიგო, მე გლახა კაცი არ ვარო, მოუდა ახლო და მითხრა გამარჯობა!

— გაგიმარჯოს.

— სედოური ხარ?

— აჭა' ელი!

— აგი მაწა ვისია?

— ვინც მუშაობს ¡მისია!

— ახალი ამბავი იცი?

— ჯერე არა!

— რამე პარტიაში ხარ?

— კი!

— რა პარტიაა?

— ცოლშვილიანების

— მაგი არა, სხვა პარტიაში თუ ხარ?

— არა,

— როგორ უყურებ საქართველოს?

— აქიდან კარგად ვერ უყურებ, აგი ტყეი მიშლის...

— არა, ისე რაა ზრის ხარ საქართველოზე, ხომ იცი, რომ შემოვიდენ?

— ვიცი და მიხარია კიდეც, მარა მწყინობს, რომ იგინის მოსვლა ვერ ვნახე არ მეცალა.

— რა გაქ გასახარი?

— რა მაქ სატირელი?

— ქართველების მთავრობას კარგად იცნობ?

— ვიცნობ!

— მოგწონს?

— შენზე უკეთესათ.

— მერე იცი რა ხალხია?

— ახლა იგიც მკითხე ვინ სად დეიბადა და როის მეინათლა.

— შენ სცდები, სჩანს არ იცნობ მათ, ისინი, ამხანაგო, მოღალატებია.

— შენ გიღალატეს?

— მე კი არა, თქვენ, ამხანაგო.

— ჩვენ რაზე?

— ნუ თუ არ იცი, რომ მთელი აჭარის ტანი მოატყუეს და ისე შემოვიდენ, იმათ უნდა თქვენი განადგურება, სარწმუნოების მოსპობა და თქვენი ქონების მითვისება...

— ვინ მოგართვა ლაპორტი, ან სეიდან გეიგე აგინი?

— მე საწყლების, ღარიბ-ღატაკთა პარტიის კაცი ვარ, ჩვენ ყველგან ჩვენი აგენტები გვყავს და ვიცით, სად რა ხდება, ახლა თქვენ უნდა აჯანყდეთ, სასმელი, საჭმელი, თოფი, იარაღი და ფულები რამდენიც გინდათ, მიიღეთ ჩვენი პარტიიდან...

— ფული ბოური გაქვან?

— მილიონობით,

— იარაღიც?

— რამდენიც გინდათ.

— ვინ მოგცათ?

— ვინც მოგვცა, გეუბნები ყველაფერი ბევრი გვაქვს...

— შენ ან ერთში სტყუვი, ან მუურეში, შენ თქვი: ჩვენ ღარიბების პარტიეს ვართო, თუ ღარიბები ხართ, მილიონებს თქვენთან რა უნდა, და თუ მილიონები გაქვენ მაშვინ საწყლები სეიდან ხართ?

— არა, ამხანაგო, შენ არ გესმის საქმე რაშია...

— მართალია, ამდონხანს ყრუი ვიყავი, აფერი მეყურებოდა, ყველე ჩვენ გვატყუებდა, მარა ახლა ყორიფელი ვიცი, იგიც ვიცი რომ შენ ჩემი მოტყუება გინდა, მარა იცი რას გეტყვი, ძიავ; გადი აქიდან, გამშორდი, ის ტყიდგან რავაც გამოძვერი, ისთავე შეძვერი თვარა, რჯულს ვფიცავ, ოთხ-ხუთს ნახვრეტს გაგიკეთებ გვერდებში.

— მე წავალ, მარამ ბოლოს ინანებ ნახავ რა დღეს დაგაყენებენ...

— ოლონ თქვენისთანებმა დაგვეთხუოს, და ჩვენ და ქართველები ყოლთვის მოვრიგდებით, სიკეთისა მეტი ქართველებს ჩვენდა სიავე არ უქნია?

— ოჰ, შე სულელო, რეებს ყბედობ.

— ჰაიდე მეთქი, თვარა მოუდა ყურშუმი, ერთი კი შემხედა ცოფიან ძაღლსავით, მოტრუალდა დასცვითა თავი ტყეში ტურასავით...

რ. ჯიბილ.

საზიზღარი ჭორი.

თავასის თემი (შორაპნის მაზრა).

ბოროტმა ენებმა ხმები გაავრცელეს, თითქო თავასის თემში დეზერტირები აღარ იმყოფებოდეს. ამის გამო, თემის გამგეობა (ნ. წიწილაშვილი, ა. საყვარელიძე და დ. ლოლაძე) სახალხოთ აცხადებს, რომ ჩვენს თემში დეზერტირებიც, ინდაურებიც, ნედლი თევზიც, პურიც და ღვინოც მრავლათ მოიპოვება. ვინც ასეთ ცრუ ხმებს ავრცელებს კეთილ ინებოს მობრძანდეს და საკუთარის თვალით დარწმუნდეს, რომ ჩვენ ყველაფრით მდიდარი ვართ, ხოლო განსაკუთრებით კი დეზერტირებით.

მუხის ძირელი.

ჩრეზვიჩაიკაში

— რა დააშავა ამ კაცმა ამდენ ხანს რომ ციხეში ალპობთ და ბრალდებას კი არ ეუბნებით?

— არაფერიც არ დაუშავებია. ეს მოწმეა და მიტომ ზის აქ. სადა გვაქვს იმისი თავი რომ ყოველთვის დავიბაროთ ხოლმე ჩვენების ჩამოსართმევად ეგრე არა სჯობია? როცა დაგვჭირდება, აქვე გვყავს და ადვილათაც დავკითხავთ...

მიიღება ხელის მოწერა

„ეშმაკის მათრახზე“

ჟურნალი თვეში ღირს 40 მან. გამოწერა შეიძლება მხოლოდ სამი თვით, ფასის გადახდა წინდაწინ არის საჭირო.

ჟურნალში დასაბეჭდათ მიიღება აგრეთვე **განცხადებები**—შედავათიან ფასებში.

რედაქცია მოთავსებულია რუსთაველის პროსპექტზე, № 24 (ყოფილი გოლოვინის) და ღია ადილის 8—2 საათამდე.

ქართველი მუშა (**რუს კომუნისტს**). არა, მეგობარო, ჩვენი მღვდელი ეგრე არა სწირავს!.. შენ: **საკუთარი** ბურჟუაზია ერთბაშათ ჩაგიყლაპავს, ფრჩხილებიც კი არ დაგიტოვებია და ეხლა აქ **მოსულხარ,** ვინდა ჩემიც შესანსლო? არა, შვილოსა, ჩაიარე! ეს მსუქანი ლუკმა ჩემი გახლავს, შავი **დღისთვის** ვინახავ, და ნურას უკაცრავათ, თუ შენ ვერ ჩაგაცეცხლებინო!